8 3 8 3 00 0 6 9 3 6 0

10go 60 80აღგილებში: გაგზაენით ₹ლისა — 7 8s6. - 6 3.5. ob Femols - 4 manbs - 2 - 50 j. თვისა a ghood Emahols რელქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განსხადება და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულეეს ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით junto 1/2 303.

როებბ" გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ᲡᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝ.ᲓᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ:

თვილისში — "დგოეგის" გედაქციიმ ესმალისის ესთა ქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახ Ο γησωνικό γοθηθη θιβαρθηδουσης το οράμοι: Β' Τυφινέν. Β' контору редакцій грузинской газеты "ВРЕМЯ".

செரிப்பட்ட மான் விரிப்பட்ட வாக்கும் திரிப்பட்ட விரிப்பட்ட விரிப்பட் விரிப்பட்ட விரிப்பட் விரிப்பட்ட விரிப்பட் விரிப்பட்ட விரிப்பட்ட விரிப்பட்ட விரிப்பட்ட விரிப்பட்ட விரிப்பட் მელქონ პალიევის სახლში.

ბეტორს ორი თვის განმა ლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო " ლროებაში" დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭბა.

0უ აუცილებელი საჭიროება მოითხოეს, რედაქდია შეამოკლებს

გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

633M C 10013M 67

ᲓᲔᲚᲘᲓᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ.

30600660:

ენი განათლებულები (სტ. მეორე).—**შ**ინაცნობები. — რუსეთის ამბები. — პოლიტიშრანცია (პიერ ბონაპარტეს პროცესსი), — ისპა-— პვსტრია და 3ენგრია. — წერილი Oიფრიხინ.—პორნჰელის უნივერსიტეტი პმერიკა-_ ლექსი: "სნეული". — სხეა და სხვა ამბავი. ლიოგრაფიული განცხადებაები. — შოჩტა-ტელეგრა-

k3060 8060000000000000. *)

სტატია მეორე წინანდელ სტატიაში მე ვთქვი, რომ ამ _15 წლის წინათ ჩვენი ქვეყნის უმთავსნი სენნი და წარმატების დამაპრკოლებელმიზეზნი იყვნენ ბატონ-ყმობა და უმეცრება. მე ვამბობდი, რომ, თუმც ჩვენ გექონმონიჭებული ბუნებისაგან ბევრი ხელ-უხუბელი საუნჯე, თუმც ჩვენ, ღვთის მადით, გექონდა ნიჭი ცხოვრებაში გამოსადესწავლისა და ცოდნის მიღებისა, — მაგრამ, ენდა საუბედუროთ, ვერც ერთით ვერ ვსარბლობდით, ვერც ერთი ამ ბუნებით სიმდრეთაგანი ვერ მოვიხმარეთ რიგიანათ. სტატიაში ვეცდები მოკლეთ განვიხილო: გაკეთება შეეძლოთ ამ დროს ჩვენ გაოლებულებსა და ნამდვილ კი რა გააკეთეს? ბატონ-ყმობისა და იმისაგან მომდინარე ეღურებათ მოსპობა, უეჭველია, ჩვენ განალებულებს არ შეეძლოთ. მაგრამ, ჩემის იით, იმათ შეეძლოთ გაევრცელებინათ საგადოებაში კაცთ-მოყვარებითი აზრი და მით ემსუბუქებიათ ყმების უბედური მდგომაობა; იმათ, თავის სიტყვით და მაგალითით, ეძლოთ დაემტკიცებიათ საზოგადოებისთვის, მ ვალდებულებითი და ძალადატანებითი ომა, მონაობა—მავნებელია და დამღუპვეროგორც ბატონისათვის, ისე უმეტესად ხებისათვისაც. ბატონს ძალიან კარგათ მოდა, რომ იმის კეთილდღეობა გლეხ-კაცის იილდღეობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ვერ მოიფიქრებდა — თუ ყმობა მავნებელი ორივეს კეთილდღეობისთვის. მართალია, არ გექონდა ჟურნალისტიკა, რომლის მწეობით შეიძლებოდა ყოველი გონიერი ის გავრცელება საზოგადოებაში; მართაისიც, რომ, კიდევაც რომ გექონოდა, ნაირს ჟურნალისტიკის დანიშნულებას და რთულებას ბევრს დაუშლიდა იმისაგან დაუკიდებელი მიზეზები და ერთი უმთავრესი იგანი ის, რომ რიგიანი მწერლები და საზოოების გზის მაჩვენებელნი ჩვენში არა გეყდნენ; მაგრამ განა განათლებული კაცისთეის ში მარტო ეს ასპარეზი იყო იმ დროსა? არ იცის, რომ ყველაზე უკეთესი ასპარეკოველი კაცისათვის არის იმის კერძო ივრება, იმისი მაგალითები? საუბედუროთ ესთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი ნღელი განათლებულებისა ბატონ-ყმობის ეში სრულებით ისე იქცეოდნენ, როგორც ი მამებიც. მგონი, ვერავინ ვერ დაიკვეხნოს ¹⁰⁰0, რომ ბატონ-ყმობის მოსპობამდის იმას ენებინოს საზოგადოებისათვის ახალი ცხო-

ერების გზა, ლონისძიება უყმოთ ცხოვრებისა. წინააღმდეგ იმისა, ზოგიერთნი იმათგანი თავის ხელ-გაშლილი, უანგარიშო და უთადარიგო ცხოვრებითა და ყმების ოფლით მოპოებული ფულების ფანტვითა კიდევ უფ რო უძნელებდე**ნ დ**ა უვიწროებდენ გლეხკაცს, უიმისოთაც შევიწროებულს, ცხოვრებასა. 3ის არ გაუგონია მაშინ ჩვენი მამების ყვედრება ახალ განათლებულებზე? 3ინ არ იცის, რა აზრი შეიდგინეს მამებმა განათლებაზე და განათლებულებზე ბანათლებულ კაცს ისინი ისე ვერ წარმოიდგენენ თუ არ წვრილი ჯო ხით ხელში, სათვალებით ცხვირზე და შლაპით თავზე. ისინი ხედავდნენ, რომ ზოგიერთნი განათლებულთაგანი ან ამაყათ ტკებნიდნენ ტოლტუარებსა, ან არა და ქაღალდს თამაშობდნენ; ეს ორი თვისებაც განათლებას მიაწერეს. და მართლაც რომ თქვას კაცმა, ზოგიერთს შემთხვევაში ჩვენი მამები არც სცდებოდნენ: ისინი წარმოსთქვამდენ იმას, რასაც თავის თვალით ხედავდენ.

0მ დროს როდესაც ჩვენ შეუმუშავებელ მინდვრებს, ჩვენ ხელ-უხლებელ ტყეებს და ბევრ სხვა ბუნებით სიმდიდრეს სჭირდებოდა რიგიანი გამომყენებლები და შემმუშავებელ. ნი, როდესაც ჩვენი მამა-პაპური მეურნეობისათვის აუცილებელათ საჭირო იყო განახლება როდესაც ყოველი კეთილგონიერი კაცის ვალი იყო ეზრუნა ხალხში განათლების გავრცელებისათვის, — ამ დროს, ვამბობ მე, ჩვენი განათლებულები ეტანებოდნენ იურიდიკულისა, ფილოლოლიურისა და სხვა ფილოაოფიური საგნების შესწაელას, რომელნიც, რასაკვირეელია, ყოველი კაცისთვის საჭირონი არიან, მაგრამ ჩვენთვის იმ დროს უფრო სხვა ცოდნა იყო აუცილებელათ საჭირო. მინ იტყვის, რომ კარგი, პატიოსანი ჩინოვნიკები ჩვენთვის მაშინაც არ იყვნენ და ახლაც არ არიან საჭიროო; მაგრამ ვერც იმას იტყვის ვერავინ, რომ ჩვენ გაუნათლებელ ჭკუას განათლება უნდოდა, რომ ჩვენ შეუმუშავებელ მინდვრებს შემუშავება დახელ-უხლებელ ტყეებს გამოყენება უნდოდათ. შეელა ამისათვის საჭირო იყო, უეჭველია, ბუნებითი საგნების და მეურნეობის ცოდნა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ განათლებულებში იშვიათად იპოვიდით და იპოვით ამისთანა პრაქტიკული საქმეების მცოდნე კაცებსა. იმათ თითქმის ყველამ ძალიან ბეჯითად და გარკვევით იციან — რომელი მუხლი კანონისა რას ამბობს და რომელი დანაშაულობისთვის რა სასჯელი მიეყენება კაცს, მაგრამ რა მიზეზია, რომ იმის ეენახი ყოველ წელიწადს ფუჭდება, რა ლონისძიებით შეიძლება იმის შველა, ან სხე. რასმე ამისთანას ცოდნაში კი უკაცრავათ გახლაეს. ჩვენი განათლებულისთვის რომ გეთ bhmdown, had ad godoco bodohonggmab yggლაზე უფრო სახალხო შკოლები და მეურნეობის მცოდნე კაცები სჭირია თქო, ის, უეჭველია, დიდის თანაგრძნობით დაგეთანახმებოდათ და გულმხურვალეთ იტყოდა: "ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ კაცები არა გეყავსო, რიგიანი კაცები, რომელთაც ესმოდესთ საზოგადოების საჭიროება და შეეძლოსთ ამ.

საქიროების დაკმაყოფილება! " ის მოგიყვებო. დათ სხვა და სხვა თეორიებს პოლიტიკური ეკონომიისას და სოციოლოლიისას, დაგილაგებდათ მშვენიერს აზრებს სახალხო განათლებაზე, გლეხ-კაცის გაჭირეებულ მდგომარეობაზე; თვითონ კი მეორე დღესვე სამს ხურ ში შერგაედა თავსა და დარწმუნებული იყო რომ რიგიანათ ასრულებდა კაცის უმაღლესს დანიშნულებას. ერთი სიტყეით, წინანდელი ჩვენი თაობა ძალიან ნაკლებათ გაირჩოდა თავიანთ მამებისაგან: იმის ნაცელათ რომ თავის გავლენით და მოქმედებით წინ წაეწიათ და ცოტათი მაინც გაეუმჯობესებიათ უწინდელი, ნაკლულევანებებით სავსე, ჩვენი ცხოვრება, ისინი თვითონ დაემორჩილენ ამ ცხოვრებას, გული აუვარდათ ყველა კეთილს, კაცობრიულს წადილზე და საფუძვლათ ჰქონდათ ძველი, უვარგისი არაკი: "მდინარემ შენ თუ არ ამოგეყვეს, თვითონ დაჰყევიო". სამწუხაროც ის არის, რომ ჩვენ განათლებულებში ძალიან მცირე ნაწილი სცდილობდა "მდინარის აყვანას. "შმეტესი ნაწილი იმათგანი, შევიდა თუ არა ცხოერებაში, იმ წამსვე თვითონ მიჰყვა ცხოვრების ტალღას. "ა ის მცირე ნაწილიც, რომელიც სცდილობდა რიგიანს გზაზედ დაეყენებინა ჩვენი უხეირო ცხოვრების მიმართულება, ისიც მალე დაემორჩილა ამ ცხოვრებას და "თვითონ დაჰყვა მდინარეს." რით ვერ გაიგეთ, განათლებულებო, რომ ამ რიგათ საზოგადოების წარმატება შეუძლებელი საქმეა! როგორ ვერ მიმხვდარხართ, რომ ჩვენ საზოგადოებაში განათლებულებს დიდი ვალი აწევსთ? სამწუხაროა ამისთანა ამბებზე ლაპარაკი, მაგრამ კიდეე უფრო სამწუხარო ის არის რომ ჩვენ განათლებულებს არ ესმოდათ თავის დანიშნულება და მნიშვნელობა. იმედი მივსცეთ ჩვენ თავს, რომ ახლანდელი და, განსაკუთრებით, მომავალი თაობა უფრო კარ გათ გაიგებს თავის თავის დანიშნულებას და უფრო ენერგიულათ ეცდება ამ დანიშნულების აღსრულებასა. ღმერთმა ნუ მოგვაკლოს კარგი იმედი.

30628260 06m 8380.

b. a.

ჩვენ ისევ პურის ნაკლულოვანობის ამბავი გვესმის. ძალაქის გარეშემო სოფლებში ძალიან გაჭირებულები არიან გლეხებიო. ამბობენ, რომ მთელ სომხითში და ძალაქის ახლო სოფლებში, მანამ იედრები დაიწყებოდა, ცოტაოდე შეებას აძლეედა ხალხს სვინტრი, ჭინჭარი, სატაცური, ღანძილი და სხვა; რაკი თოვლი მოვიდა და ქარი და სიცივეები დაიწყო, ამ მწვანეულობასაც მოაკლდა ხალხი და უფრო გაჭირებაში ჩავარდა. მეტადრე შეწუხებულია შემდეგი სოფლები: წალკა, დალეთი, წინწყარო, ბიაგვი, მარაბდა, ბსურეთი, ბორბალო, ლოუბანი, მრტისი, მაშლოვანი, პუმისი, წავკისი, ტაბახმელა, მარტყოფი და

Ubgson. მს სოფლები, "როგორც წინა ნომერში ვთქვით, ქალაქიდგანა ყიდულობენ პურსა

და ამ შემთხვევაში ისინი ვერც ქალაქში შო-

ულობენ. ქალაქში რაც პურია, ისიც ძლივსა ჰყოფნის თვითონ ქალაქსა: აქ დღეში თათრის მვიდანზე გადის ათას შვიდასამდინ ფუთი პური. ამ ერთი კვირის განმავალობაში დღეში იქნება ორასი ფუთი არც კი გაყიდულიყოს, რადგანაც მეტი არა ყოფილა. შასი იყო ამ ერთ კვირაში შემდეგი: ფუთი პუ რი ხუთშაფათს — ორი მანეთი და უზალთუნი.

პარასკევს - თერთმეტ აბაზ უზალთუნი, മാത്യാത് - നന്ന മാട്യാന രാ എരാന്ത്രാന്റെ,

M かるらかし 一のかんの あつ いるいかっ,

სამშაბათს — თერთმეტი აბაზი,

മാ ര്യൂർ, 8 ാർന്നസി, നത്തിയുർത്തി, തന്നം მეტი აბაზია.

ქერი გუშინა ფასობდა ექეს აბაზათ; დღეს შვიდი აბაზი და ერთი შაურია ფუთი. ბრი ნჯი ფასობდა ფუთობით ორ მანეთად, დღეს თერთმეტი აბაზია. დღეს ათის საათის ნახევრამდის მთელ მეიდანზე ხუთი ტომარა ფქვილი იყო და ერთ ტომარას თხუთმეტ ფუთიანს **ი**ხრა სული ყიდულობდა.

პურის უქონლობას აქ აბრალებენ იმასა, რომ ბევრს დამალული აქვსო; აგრეთვე გზების წახდენასა. 0ქნება მართლა ამაკბის მიზეზით არ იყოს—მეიდანზე პური, მაგრამ ისევ ისა სჯობს ვთქვათ, რომ წრეულს მოსავალი არ იყო; სხვა მიზეზები მიკერ-მოკე-

ჩვენში, ვისაც ოთხი ხუთი წლის მოსავავალი ჰქონიათ, ეხლა სულ ცარიელები არიან. ჯერ პური ახალათ გალწილი იყო, რომ სოფლებიდგან გლეხები ჩამოდიოდნენ და, ვინც რას ასწრობდა: შეშას ბზეს და სხვას უდებდნენ ურემსა, წავილოთ ქალაქში, გავყიდოთ, რომ პური ვიყიდოთო.

პურით გათქმულ ბუმბრში პური ამჟამათ ფასობსო თალარი შვიდ მანათათ; თალარი თითქმის სამი ქალაქის კოდია. შუთი ადგილობრიე ჯდება ხუთ ექვს აბაზათ; ეს ფასი იაფი არ არის. 3ლადიკავკაზიდგან მოსატან პურს მოელოდნენ ქალაქში, მაგრამ, ამბობენ, წამოსაღებათ მეურმეები ფუთში ექვს შვიდ აბაზს იღებენო. ბმ ერთი თვის წინათ 3ლადიკავკაზიდამ მოტანილი ფქვილი მოტანით ჯდებოდა შვიდ აბაზათ და ქალაქში იმ ჟამათ იყიდებოდა რეა აბაზ უზალთუნათ. Brager sadradge, hand sa hadgangar of hand მართლა ჩარჩებს პური ჰქონოდათ დამალული, გამოიტანდნენ გასასყიდათაო; ეს ერთით დასაჯერია, მაგრამ მეორეს მხრითაც ჩარჩები ჩარჩები არიან, იმათ იქნება კარგათ იციან ყველა გარემოება პურის ვაჭრობისა და უფრო თავიანთვის ბედნიერს ჟამს მოელიან. ჩმათთვის ხალხის გაჭირება აღდგომაა, ოლონც ჯიბე გაუსქელდეთ და თუნდ ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა.

მაინც და მაინც ჩარჩობისაგან თუ შელავათი მიეცა ქალაქს, სოფლის ხალხს აქედგან შემწეობა საიმისო არ ექნება. ბმის დასამტკიცეგელათ არის ახლოს ოფელი--მარტყოფი, რომელიც ქალაქიდგან ოც ვერსზე შორს არ არის.

ბმას წინათ იყო დაბეჭდილი "პავკასში" კორრესპონდენცია დუშეთიდგან, რომელიც

შეეხება იქაურს იარმუკას და ქალების შკო--. dcm

" மு.ம்.மான்க் இருவும் மான் மான் மான் மான் மான் த்ரை சிரிறிக்கை அரிம்பி கிக்காக்குல்க madenoso yddso goo engrond yglocol lm-ഇന്ന്യർധം നമ്മി മറന്നുവരിന്താൻ ന്യാര് നാനിന്-പ്ര മാനമാന്ത്യൂര് മുപ്പിയുന്നു താ പ്രാവ്യ നാവ്രാ გაქეთ გასასყიდი, მოიტანეთო ბიორგობის ന്മുാს ეს രാനിയ്യും എന്തുന്നാ ഇന്ത ത്രന്നാს, മാമრამ, როგორც კორრესპონდენტი იწერება, ძალიან სუსტათ იყოვო. ამის მიზეზს ავდარს ത്രന്നു മാർന്മവുള്ളത്തെയ്ത, ന്യൂന് നേർസ് ന്യൂർന სგობიო ჩეენ აქ ვიტყვით, რომ იარმუკისorgal and had show beginn: zgh ghon des რომ ადგილი უნდა იყოს მართლა ხერხიანათ santingymn, და agang - დრო. საზოგ დოთ თითქმის ყველა იარმუკები, სულ რომელისამე ხატის ანუ ეკკლესიის დღეობას იწყობა და രി ხატის ანუ ეკკლესიის კარზე. ხალხი დიდdome იკოიფება სალოცავად, ეს სალოცავები მოდამ შუა მაზრაშია და ყველა ნაპირა ადგილებთან ახლოა. ბმ დღეობაებში თავისთაეათ ეაჭრობა იმართება. ბმისა გამო განგებ დანი მნულ დროს და ადგილის მაგიერათ ამისთანა დრო და ადგილი რომ იყოს ამორჩეული ისა სჯობია. დუშეთის უეზდში ერთი დღეობა მარიამობის თეეში, ეგონებ, 15 რიცხეს, სამებას ეძახიან; აქ ამ დროს მთელი დუშეთის უეზდიდგან დიდძალი ხალხი იყრება. დუშეთის უვზდისათვის ეს ადგილი კარგი საიარმუკო ადგილი იქნება. საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ თუ უეზდის ნაჩალნიკებმაც აღმოაჩინეს მეცადინეობა, როგორც უფ. ზუბალოემა დუშეთში, და იარმუკები ხატის დღეობას გაამართვინეს, უეჭველათ, კარგი სასარგებლო საქმე იქნება მაზრის მცხოვრებლებისათვის. რასაკვირველია, იმისთანა დღეოგა უნდა ამოარჩიონ, როდესაც უფრო დიდი tombo nymodo.

മുന്നു പ്രത്യാര്യ പ്രത്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യാര്യ പ്രത്യ მელიც კარგათ ვერ მიდისო, იწერება ისვე "ძავკაზისა" კორრესპონდენტი; პირველათ ცოტამ გაგზაენა შვილები და ენკენისთვეში പ്രാമ്യാത്തിറ്റെ സ്ക്കിന് പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യാത്ര പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ്രവ്യ പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ ბოლოს მოისურვეს რამდენთამე, რომ შკოლას შესწეოდნენ და სომხის ეკკლესიის სახmo norbragglen, mod ladbols cos fomogonol ქალებმა ორთავემ სანახევროთ გაიწყონ შკოლში სწავლა. იანვარში მოვიდა ახალი ბლალოჩინი სომხის ეკკლესიისა და მარტის დამდეგს აქაური მანდილოსნები მიიწვია რომ სასწავლე-Somol gableol rohal colfinadarofge. , 33 sbom შკოლაში, როგორც ამბობს კორრესპონდენტი, გავიგეთო, ასწავლიან სომხურ წერა-კითხვას და ხელსაქმეს. ჩვენა ვთქვით წერა-კიmbgsls co sho gosl, hocogsos of sym famgol domnot dahejoso badbyho gos, odnoma നമ്പർ ქാლ്യർറ ქാനത്നുത്താതാ ത്രാമാനാച്ചത്തിര്... നാ tojohno badbyho jos, haggbog had by ნებითი იმათი ენა გამხდარა ქართული ენა. **ა**ქ, ჩვენის აზრით, ქართული უნდა; ეს გარემოება აქაურ სომხებსაც ესმისთ და ამბობენ კიდეცა". ბოლოს ამბობს კორრესპონდენტი: "on za domon bridbal j modalogali zodom-ത്വെ വ മുന്നു, മത്രാന്ന് നെ നാനാത മന്ന്റ്റാ bogo agomol Jomgoo co bookago mad bomo მოეწერათ მუდამ წელიწადს 4 მანეთის შე-കാട്രാള് താ ക് നാ മെന്റ്രാം, നമ്പി ഗുറ്റ്യാന 1:നთვლის ქალებს არ იყვანენ შკოლაში მარმარტო იმიტომ, რომ ქართველები არი ნ." ჩვენ აქ შეგვეძლო გეეთქვა, რომ დაე სომხებს სომხური ასწავლონ, მაგრამ ქართვლის ქალებიც მიილონ. მაგრამ, თუ მართლა იქაme bolongo congools bythe Johngmon Jomgont სწაელა, განა არ შეუძლია სხვა შკოლა დააფუძნოს. ბმ შკოლას უფრო კარგათ შვეძლო თავის დანიშნულების ასრულება, რად- ზოგადოება. ზემოხსენებული (ძავკაზის № 39) პირველ საათამდინ ყვავილს უცრიან ახლის

განაც იმის მხედველობის ქვეშ იქნებოდა. brident gyzmoloni Bynmodon Johonymb shსად არ ასწავლიან და ისე განდევნილია, თითქოს შეჩვენებული იყოსო. იმას კი არ უყურებენ, ცხოვრებაში საქიროა თუნარა.

რამდენიმე წელიწადია შესდგა აქ საზოგადოება, რომელიც ეწევა ღარიბებს ფულის მიცემით და შვილების სწაელებითა. ბმ საზოგადოებასა ჰქვიან "თფილისის კეთილის-მყოფელი საზოგადოება". ამ ექესი წლის წინათ ამ საზოგადოებამ გამართა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში შკოლები, ამ ჟამათ არის შვიდი შკოლა: ექვსი ქალებისა და ერთი ეაჟებისა. მუდამ წელს პეთილის-მყოფელისაზოგადოება აცხადებს თავისის მოქმედებისა და ფულის ანგარიშსა. ამ წლის ანგარიშიდგანა ეხედავთ, რომ შარშან 1869 წ. იანვრის პირველს საზოგადოებასა ჰქონია 14,984 მანეთი და ამას გარდა შემოსულა მთელი წლის განმავლობაში ამ წლის იანვრის პირველამდის 8,640 მანეთი. ბმ შემოსავალში დიდი ნაწილი უფრო ბალებიდგან, კონცერტებიდგან და ლატარიებიდგან შემოსულა ესე იგი, 5,617 მანეთი; ხელმომწერთ მწევრებისაგან შემოსულა 480 მანეთი. — ბასავალი მთელის წლისა არის 8,412 მანეთი; ამ გასავალში 6,215 მან. შკოლებზე დახარჯულა, დანარჩენისაგან ლარიბების შესაწევნელათ პენცია სამუდამთვეო გასულა 1,156 მან. — ბმ ფულების ანგარიშში სასწავლებელ ნივთებზე, ესე იგი წიგნებზე, ქალალდზე, კალამზე და სხვ. დახარჯულა შვიდ შკოლაში 138 მან. 76 კაპეიკი. სჩანს წიგნები და სხვა საჭირო ნივთები შკოლებს შეწირვით მიუღიათ, რადგანაც ანგარიშიდგანა ეხედაეთ, რომ ზოგიერთ შკოლას სრულებით არა დაუხარჯავს რა, მაგალითად მესამე შკოლას. მეოთხე შკოლაში დახარჯულა სამ აბაზ უზალთუნი; ზოგ შკოლაში კი მაგალითად პირველში ხარჯი სასწავლებელ ნივთებზე ადის 71 მანეთამდის. როგორცა ვთქვით, ეს იმისაგან უნდა იყოს, რომ მუქთათ შემოუწირავთ ზოგის შკოლებისათვის, თუმცა ეს შემოწირვა ანგარიშში არ არის მოხსენებული.

მოსწავლენი ქალების შკოლებში ყოფილან სულ 266 ქალი და 54 ვაჟი.

ამათ რიცხეში:	hybo Joh	ითველი	badgbo
1 3/2 mm 30	- 22,	- 12, -	1
2	- 24,	- 5, -	21
3	- 24,	- 3, -	- 8
4	- 15,	- 30, -	18
5	- 25,	7, —	- 7
6	- 8,	- 19, -	_ 7
The state of the s	გერძენი	ososho	n continue
	9,	2,	

3ാച്ചാർസ് ആന്ത്രാൻറ: რუსი 39, ქართველი 14, ურია 1.

მასწავლებლები ზოგან მეტია, ზოგან ნაკ ლები: ორ შკოლაში-2, ორში-3, ორში-4, Jan 30 - 5.

ბანათლების გასავრცელებლად სხვათა შორის ერთი ლონისძიებაა; ეს ბიბლიოთეკების გამართვა. ჩვენს ქალაქებში საზოგადოებაში ბევრჯერ მოწყენილობასა ჰგრძნობენ; დროს გასატარებლათ მართავენ წვეულობას, ლო-Ommash, domomonh osado and ob bego sa გვარებს. ბმ რამდენისამე წლის წინათ ერთ മെറ്റെ പ്രാത്യ പ്രാധ്യാവ വിക്കുന്ന പ്രാള് പ്ര ნული დღე ჰქონიათ, რომ შეიყარნონ და ქალალდი რთამაშონ. ბმ გეარი შეყრილობა დანიშნულსა და დაუნიშნავ დროს ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება, რადგანაც კაცი იმისთანა სულდგმულია, რომ ყოველთვის თავის მსგავსთან ესიამოვნება ყოფნა და დროს გატარება. მაგრამ რადგან კაცი გონიერი სულდგმულია, შეშვენის გონივრულათ დროების გატარება. ამის მაგალითს გვიჩვენებს, თუ მართალია ეს ამბავი, ფუშეთის სა-

სალიტერატურო მეჯლიში, რომელშიაც მოუგროვებიათ შკოლისათვის ფული. ახლა აპირობენ ბიბლიოთეკის გამართვასაო, კანონის პროექტიც შეუდგენიათ და წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლათ. ეს დიდათ მოსაწონია. 0უ კარგი თაოსანი კაცების ხელში იქნება ეს ბიბლიოთეკის საქმე და კარგათ ხელი შეუწყეს, დიდათ სასარგებლო იქნება. ბულითა და სულით ვისურვებთ ამ დუშეთის მაგალითს ყველა ჩვენმა ქალაქებმა მიჰბაძონ. ჩვენს ქალაქებში ხშირათ ჩივიაზ უწიგნობასა; საცა ათი და თხუთმეტი წიგნის മുറത്തുന്നും, റിന്താട് ാരുറ്റ്രാധ തറത്ന ത്യൂറിნის შემოტანით მუდამ წელს საკმაოთ ჟურ. ნალებისა გაზეთებისა და ცოტაოდე წიგნების გამოწერა შეიძლებოდა. სხვა ხარჯი არ ექნებოდა, ამიტომ, რომ როგორც დუშეთში "მკოლის სმატრიტელს უკისრია ბიბლიოთეკარობა და შკოლის ბიბლიოთეკაში შენახვა წიგნებისა, აგრეთვე ეს ყველა უეზდის შკოლებში მოხერხდებოდა ძიდევ გავიმეორებთ, mad golymagodo sa dogomonol agogandolo ჩვენის ქალაქების საზოგადოებისათვის.

წარსულ შაბათს არტისტიკულ კლუბში იყო უფ. ძარაპეტიანის კონცერტი. საზოგადოთ რომ ესთქვათ, კონცერტი არ იყო შესანიშნავი არც მოსაკრავეებით, არც მომღერლებით და არც ხელოვნურათ ლექსების წაკითხვით. საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მხოლოთ პრგუთინსკის ქალმა, რომელიც დიდის ნიჭიერებით, გრძნობით და ხელოვნებით უკრავდა ფორტეპიანოზე; ამას გარდა პუბლიკას მოეწონა აგრეთვე სასიამოვნო და ტკბილი ხმა (ტენორი) თვითონ უფ. ძარაპეტიანისა. წამკითხავებმა კი, სწორეთ რომ ვთქვათ, ბრწყინვალეთ ვერ აასრულეს თავის საქმე: უფ. პალტავცევი კარგს რაღაცას ჰკითხულობდა, მაგრამ უკანა წყობებში სრულიად არ ისმოდა; ამას გარდა იმის მიხრა-მოხრა და მუდამ ერთნაირი ხელების ქნევა ჰაერში ამტკიცებს, რომ ის ვერ არის დახელოვნებული ამ საქმეში. შფ. იონესიანმა წაიკითხა ნეკრასოვის "Осторожность"-ს; იმან მხოლოდ მაშინ მიიქცია პუბლიკის ყურადღება, როდესაც წარმოსთქვა სიტყვები И съ какимъ то армяниномъ обвънчалась, не спросясь! Эдьобо дбодого вомотью дзо воტყვა "армяниномъ. " втапорот јотодо, фтმელთაც არა აქვთ ჯერ გაწვრთნილი ხმა, რომ არ უჩქაროდნენ სცენაზე გამოსელას, ძალიან კარგი იქნება.— აონცერტი იყო სასარგებლოთ ახალგაზდა არტისტის — ძარაპეტიანისა, რომელსაც, როგორც გავიგეთ, შეკრებილი ფულებით ჰსურს მუზიკაში გასაწვრთნელათ იტალიაში წასელა. ბმიტომაც საქებია ჩვენი თვილისის საზოგადოება, რომ ასე გულსმოდგინეთ დაეშურა ამ კონცერტ ში მოსელას და უფ. პარაპეტიანის ხელის გამართვას. მაგრამ ძნელი გასაგებია ამავე საზოგადოების გულგრილობა სხვა ამ გვარსავე და, შეიძლება, კიდევ უფრო ყურადღების ღირსს საქმეებზე: ჩვენ შეგვინიშნავს, რომ საზოგადოებას მაგდენი გულმხურვალეობა არ გამოუჩენია, როდესაც ღარიბი მოსწავლე ვაჟების, ან ქალების შკოლების სასარგებლოთ გაუმართავთ წარმოდგენები ან კო რცერტები. რას მიეწერება ეს? ბფიშა არც ზემოხსენებულ კონცერტში ჰპირდებოდა საზოგადოებას განსაკუთრებით შესანიშნავს რას-

Sagh man Figura from they dome dol bodკურნალო გაიმართა თფილისში და ავათმყოფები დადიან ექიმებთან. ბქ შესელა ექესი შაურია; ლარიბებს უფასოთ უშვებენ. ბმ სა-മുത്രിക്കെന്നു വര്യാരായ പ്രത്യാര്യാര്

კორესპონდენტის სიტყვით, იქ გაუმართავთ ხმეთოდით, რომელიც დიდი ხანი არ რაც შემოილეს. სამკურნალო ომყოფება ც ლოლაკზე, "მადინკუცი<u>ს იხახლე</u>მწიქ ე

6 3630006 238380.

მმართებლობა დარწმუნდა, რომ ახლ დელი სასოფლო შკოლები ვერ ასრულებ რიგიანათ თავის დანიშნულებას; ამისგამო ხალხო განათლების სამინისტროსთან ი დანიშნული ცალკე კამისია, რომელსაც და გამოეკელია ეს საქმე და დაედგინა ახაო კანონები საზოგადოთ სახალხო შკოლებ შესახებ. "მოსკოვის უწყებაების" სიტყვი ეს კამისია ამ წლის ივლისისთვის გაათავ თავის საქმეს და მერე იმისაგან შედგენი პროექტი უნდა დამტკიცდეს ამ წელსეე ნონმდებელობის წესით.—

ტვერის ზემსტვოს შეუდგენია პროექტ ოთხკლასიანი ტეხნიკური სასწავლებელი რომელიც უნდა გაიმართოს რომელსამე უე დის ქალაქმი და რომლის დანიშნულება ი იქნება, რომ გაავრცელოს ხალხში სხვა სხვა გვარი ხელოსნობის ცოდნა. ბმ შკოლის თვის გარდადებულია თორმეტი ათას მან., რომლიდგანაც შვიდი ათას ხ თას მანეთს მისცემენ ტვერის გუბერნი მცხოვრებლები (ზემსტვო) და დანარჩენს სრულობს თვითონ ქალაქი—ტვერი, რო ლისთვის განსაკუთრებით საჭიროა ხელოსნი ბის მცოდნე კაცები, რადგან იქ ძალიან ბეი ქარხნებია; ტვერში ნაკეთები თოფ-იარალი სამოვარი საუკეთესოა მთელს რუსეთ'მი. შე ლა იქნება სახალხო განათლების სამინის როს უწყებაში, მაგრამ იმის საქმეების მმარი ვა და ხელმძღვანელობა მიენდობა რამდო სამე პირს, რომელნიც თვითონ ზემსტეოს გან იქნებიან ამორჩეულნი და რომელნი შეადგენენ რჩევას ან კამიტეტს.

მოსკოვში არის სხვათა შორის ერთი საზოგადო რომელიც სცდილობს, რომ გაავრცელოს მდაბიო ს ხში სხვა და სხვა ხელოსნობის ცოდნა. "ბირჟის ყებაების" კორრესპონდენტი იწერება ახლა მოსკო დგან, რომ ამ საზოგადოებას გადაუწყვეტია შე კვირის შკოლის გახსნა, ე. ი. იმისთანა შ ლების, რომლებშიაც მარტო კვირაობით იქნება ლა. შემდეგში, კორესპონდენტის სიტყვით, ამ ლებთან გაიმართება სახელოსნო მასტერსკაიები, სა შაგირდებს ასწავლიან სხვა და სხვა ხელოსნობას, გორც მაგალითათ: მკერვლობას, მჭედლობას, ხარა ბას, წიგნების კაზმას და სხვ.

3 M C 1 6 1 3 3.

3605000 3006 amesssagol 36muollo. 30100 ნუარის მოკელამ დიდი ამბავი დააწია შრ ციაში და თითქმის მთელს მვროპაში; ტომაც ამ პროცესს დიდის ინტერესით ა ნებდნენ თვალყურს. ეს საქმე ძალიან ლ და დახლართული საქმეა, ასე რომ ყოვ დღე ერთი კვირის განმავლობაში თით თითო გვერდი ყველა ფრანცუზული გაზე dals sa bajant Fahamganon aym bagbg. - 00 სხვა ქვეყნებიდგან მოდიოდნენ ქ. ტურშ პროცესსის საყურებლათ, ისე საინტერეს მიაჩნდათ. ამისთანა დიდს პროცესს, უე ლია, ჩვენს პატარა გაზეთში სრულათ დავბეჭდთ; ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას ი თანა გარემოებებს, რომელნიც უფრო ს ტერესო იქნებიან მკითხველისათვის და ჩ ში დამნაშავე და ვინ მართალი. მკითხვენ agal, Ama sa bojagle shingges Da mengla издымотт (Верховный суды), могодов თონ ბრალდებული (პიერ ბონაპარტე) ხელმწიფის შთამომავლობის (ახლანდელი პერატორის ძმის წულია).

ლლესი სასამართლოს სხდომები დაიწყო რტს. პრეზიდენტის სიტყვის თქმისა და ეყუნებელი აქტის წაკითხვის შემდეგ, რთვეს ჩვენება ბრალდებულს პრინცს პ. აარტეს. პრეზიდენტი (მიმართავს ეს). თქვენ შემოდით შრანციაში 1848 აინცი. შე ადრეც ვყოფილვარ ფრანივლისის მშართებლობის ნებართვით. ა. 1848 წ. თქვენ დაესახლეთ 3/იანდა დეპუტატათ იყავით ამორჩეული. იებში აწერილი იყო თქვენი ადრინდეხოერება. მე მახსოეს მხოლოთ ფრთი ეევა: 1849 წ. თქვენ შემოარტყით ლო. ი ერთს დეპუტატს ნაციონალურს პრებაგომლის დეპუტატათ თქვენ იყავით იმ შეგიძლიანთ ამიხსნათ ეს ამბავი? გინცი. **თ**ავის დროზე მე გავიმართლე ამ საქმეში; ახლა ვიტყვი მხოლოთ, ის მოხდა იმისაგან, რომ იმ დეპუტატმა და შეურაცხყოდა და შეგინება ჩემი და გეარიშვილობისა. პრეზიდენტმა თხა სასამართლოს გადაწყვეტილება, რო ამ საქმისათვის გადაახდევინეს იმ 3. ბონაპარტეს ჯარიმათ მხოლოთ ე ფრანკი, რადგან დანაშაულობის შემამაუქებელი გარემოება მიიღეს მხედველობარე ზ. 1851 წლიდგან დაწყებილი თქვენ, ირც კერძო პირი, სცხოვრებდით ხან ისიკაში და ხან **ო**ტეილში? პრინცი. . პრეზ. **რ**ა დამოკიდებულება იყო თქდა გაზ. "Avenire de la Corse" — ის რე ეორს დელა-როკას მუა? 3 რ ი ნ. ჩვენ ab კარგათ ვიყავით ერთმანითში. 3 რ gენ. თქვენ მისწერეთ წიგნი დელა-რორომელიც დაიბეჭდა იმის გაზეთში და monog gobgood "Revanché" - ob o 50ამელებს უწოდებდით "უსინიდისო იუთ და მამულის გამყიდველებათ ". "Revan--მა დაგიწერათ სტატია, რომელშიაც, ორც თქვენ ის, არც იმან თქვენ დაგათ და გაგლანძლათ. ბმის გამო გაზ. "მარეზაში" დაიწყეს თქვენზე დაცინვა, როშედეგი იყო თქვენის მხრით როშფო-മാദനത്തിന്മാം അവിധ്യായ

რინ. შე მინდოდა მხოლოთ დამეფარა შეგინებისაგან. მე ვერ შემეძლო მოთhad Jahlaysan, togs abgood sogngal თ იხსენებენ ნაპოლეონის სახელს, შეუყოფა მიეყენებიათ იმის გვარისათვის. b. Tygor ofamoro, mma sa zabgorgant ში არ გარეულიყავით; მაშინ 10 იანვარს ოხდებოდა ის უბედურება. — მერე ბრალლმა მოჰყვა დაწერილებით—როგორც ხდა ეს ამბავი. პრეზ. თქვენ ამტკიცებთ პირველათ ნუარმა შემოგარტყათ სილა? ინ. დიახ, როდესაც მე ეკითხე: თანაუგრon ontago handgamble onta? Ad commu იახლოვდა ნუარი და შემომარტყა და ვიელმა ჩემზე უმალ ამოიღო ჯიბიდან ლვერი. პრეზ. როდესაც ესროლეთ ა, არ შენიშნეთ—დაკოდეთ თუ არა? ინ. ბრა, ჩემი ყურადღება მიქცეული იყო ეელზე, რომელიც რევოლვერით მემუmas. 3 hg h. Boboggohggonos, hongah ეხედეთ ნუარს, რომელსაც ოთხ ნაბიჯ. ესხოლეთ რევოლვერი? — რომ გადარლეო, ხომ მოგეარდებოდათ? ნუარი რომ ა კარებში, არცის შეგინიშნავთ? 3 რი ნ. ა, შონვიელი სტენიდა იმ დროს რევოლს. პრეზ. მერე? პერ გატენა? პრინ. ა იმას დაავიწყდა ზუმბის ამოლება.—ბმის 98 მოიყვანეს მოწამე შლრი ხი ფონლი და წაუყენეს პირში პრინცსა. 3 ო ნელმა შეუცელელათ გაიმეორა თავის ანღელი ჩვენება, რომელიც დაბეჭდა გაზ. ელიეზაში" და ამას გარდა სთქვა:"ტოე შევნიშნე, რომ პიერ ბონაპარტემ დანა რევოლევრი, მეც ამოვილე ჯიბიდან დამბაჩა და გავვარდი მარჯვენა კარებში.

ნუარი რომ გავიდა გარეთ, ბონაპარტემ ჩაკეტა კარები, გამომედევნა და მესროლა; მე gogo Jogo Bomby monoboo, of odot Bombyon მესროლა, მაგრამ ორივიჯერ დამაცილა. მერე უკანა კარებით გამოვედი გარეთ და და ეიძახე: "მომეხმარეთ! აქ მკვლელობაა!" ძირს ქუჩაზე მე ვნახე ჩემი მეგობარი ნუარი, რომელიც ეგდო ტროტუარზე და სულს ღაფავდა. ამ დროს ხალხი შეიკრიფა, ჩვენ მოვკიდეთ ხელი ნუარს და წავიყვანეთ აფთიაქში, საცა რამდენიმე მინუტის შემდეგ კიდეც მოკვდა. პრეზიდ. თქვენ იყავით სეკუნდანტი, რევოლვერი რაღათ მიგქონდათ თან? ბანა იცოდით, რომ საქირო იქნებოდა? შონვიელი. მე ვიცოდი, რომ რამე მოხდებოდა **ო**ტეილში, მაგრამ კაცის მკვლელი თუ დამხვდებოდა იქ, ამას კი ვერ მოვიფიქრებდი. ბონაპარტე. თქვენ მაინც არ უნდა

ამბობდეთ კაცის მკელელგბზედ. ბაიხსენეთ ორსინის ბომბები! კაცის მკელელი თქეენა ხართ! 3 რე ზ. (მონვივლს). რათ გინდოდათ ത്രാമ്മാനം? 9 ന 5 ദ്രാദ്രനം. മാമ്മാനം നമ്മ ക് მქონოდა, მე არ ვიდგომებოდი ახლა თქვენ Foto. 3gh sh coolgofytos, had ghoods &mtsპარტემ (პრინც მიურატმა) უბრძანა ბიჭებს ერთი ვაჭრის ცემა. პრეზიდ. რადგანაც თქვენ ამ ამბით აღელვებული იყვით, ხომ არ მოგეჩვენათ, რომ პირვე ლათ პრინც ბონაპარტემ შემოარტყა სილა ნუარს? იქნება პირველათ ნუარმა შემოარტყა; გახსოვთ ნამდვილათ ? შონვიელი. მე ძძლიერ კარგათ მახსოვს, რომ პიერ ბონაპარტემ ჯერ სრუ ლიათ უმიზეზოთ გაგვლანძღა ჩვენ, მერე მიუახლოედა ნუარს, შემოკრა და შემდეგ რე ვოლვერიც ესროლა. ამ ჩვენებას ჩემ დღეში არ გამოვუვლი, ამიტომ რომ ჭეშმარიტე. ბაა. — ბოლოს შონვიელმა აღელვებული ხმით სთქვა: მე ვამტკიცებ, რომ პიერ ბონაპარტემ გალანძღა პიქტორ ნუარი, პიერ ბონაპარტემ შემოკრა პიქტორ ნუარს, დასასრულ პიერ ბონაპარტემ მოჰკლა მიქტორ ნუარი. (bolodomomod bomod andmombos) .-

შონვიელის შემდეგ ზალაში შემოიყვანეს ჩვენების ჩამოსართმევად მეორე თანაყშრომელი გაზეთის "მარსელიეზასი" — 3 ა ს კალ 8 რუ ს ს ე. პრეზიდენტის ჩვეულებრივს კითხვაზე—ხომ არაფერი ნათესაობა გაქვს ბრალდებულთანაო, ბრუსსემ უპასუხა: "მაგის დედას იმდენი საყვარლები ჰკავდა, რომ ბეჯითად ვერ ვიტყვი, მაქვს მაგასთან რამე ნათესაობა, თუ არა.—"ბმ სიტყვებმა ძალიან ააღელა პუბლიკა. პროკურორი წამოდგა თავის ადგილიდგან და უთხრა ბრუსსეს – თავი შეიკავე და ამგეარ შეურაცხმყოფელ სიტყვებს by bashma bobodomomman, ommand bodomთალში მიგცემო. შემდეგ 28 რუ სემ განაგრძო თავის ჩვენება: "მე შევნიშნც, რომ ნუარი გამოვიდა ბონაპარტეს სახლიდამ, შლიაპით ხელში, და ტროტუარზე დაეცა. ბამვლელებმა ჯერ დიდი ყურადღება არ მიაქციეს ტროტუარზე დაგდებულს მამაკვდავს; მაგრამ როცა შეიტყეს, რომ ნუარი იყო რესპუბლიკელი, რომელიც მოკლა ბონაპარტემ, მაშინ ყველანი დაიფანტნენ შიშისაგან. თვრამეტი წლის განმაელობაში არც ერთხელ oh godanhatamo ola Obocoo Shot Cool coggdo, hangatig od agdobgggoda.... ih a jujრორმა გააწყვეტინა სიტყვა ამ ადვილზე ბრუსსესა და დააბრუნა ისევ საპყრობილეში; სასამართლოში წაიკითხეს დაწერილი ჩვენება റിറിരം. bamadal byol საათზე გათაედა პირეელი სხდომა შმაღლესი სასამართლოსა.

(ბაგრძელება შემდეგში)

0635605

გაზ. "Public" ის სიტყვით, სერრანოსა და თავის პრიმს ისპანიისხელმწიფეთ იზაბელას უფრო- წიგნშ სი ვაჟი დონ პლფონსი უნდათო. პხლანდე- ტისალი მმართებლობის ეს ორი მოთავენი ძალი- და უან ზრუნვენ მონახონ რიგიანი ახელმწიფე ის- თვის.

პანიის ტახტისათეის, მაგრამ ჯერ ვერა მოახერხეს რა. სხვა გაზეთებში სწერენ, რომ

დონ ბლფონსსაც ისე დაემართება, როგორც
გერცოგ მონპანსიესაო: ილაპარაკებან, ილაპარაკებენ იმის კანდიდატობაზე და მერე ისეე
დაჩუმდებიანო. მონპანსიემ ახლა სრულიათ
დაჰკარგა იმედი ისპანიაის ტახტზე შესელისა;
თუმცა ისპანიაშია ის, ამჟამად, მაგრამ იმის ხედომდე, აგვისტოს და სეკდემბერში სწავლაარ
რებული ქვეყნებიდგან არიან მოსულნი; თითუმცა ისპანიაშია ის, ამჟამად, მაგრამ იმის ხედომდენ, ვითომც ამას წინეთ რომ დუელი
ჰქონდა გ. მონპანსიეს ჰენრიხ ბურბონთან,
იმის გამო დაჭერილიაო, მაგრამ ეს ამბავი
ტუუილი გამოდგა. ბამოძიება კი არის თურმე დანიშნული ამ დუ ლის თაობაზე.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ

27 მარტს პრაგაში იყო ძლიერ შესანიშ ნავი მიტინგი მუშა — ხალხისა: ოთხი ათასი კაცი მეტი შვიკრიბა და ხანგრძლივი მო. ლაპარაკება ჰქონდათ თავიანთი საქპეების შ სახებ. ორატორები ჰკიცხავდნენ სამინისტ ന്നാര മാട്യാനമുന്നുന്നൂർവൂർം, ചിച്ച നമ്പർ პოლიციის კამისარმა რამდონჯერმე ჩააჩუმა ისინი. ა კრების გარდაწყვეტილებაში (რეზოლიოცია ში) სხვათაშორის განცხადებულია მუშა-ხალ ხის უკმაყოფილება იმაზე, რომ მმართებ ლობამ გადასახადი დაადვა სადგომებს. ბმას გარდა მუშებმა დასდვეს, რომ ჩეენთვის აუ ცილებლათ საქიროაო ურთიერთის შემწევნე. ლი საზოგადოებების დაარსებაო. ბმნაირი ხვლის გამმართველი საზოგადოებების დაარსება, მუშების აზრით, განსაკუთრებით გამოადგება იმათ მაშინ, როცა კაპიტალისტების და ფაბრიკანტების შევიწროების გამო, ისინი დაანებებენ თავს მუშაობას და ითხოვენ ქი რის მომატებას; ამ უსაქმოობის დროს სა ზოგადოების თანხა იმათ გაუმართაეს ხე. ლს დროებით მაინცა.

ᲓᲔᲠᲘᲚᲘ . ᲡᲘᲣᲠᲘᲮᲘᲓᲐᲜ. *)

30/18 დეკემბერსა, 1869 წელსა.

"ჩვენ მოვედით ციურიხში შვიდ დეკემბერს. მე დაუყოვნებლივ შეუდექი ჩვენი საქ მის გამოკითხვას. ერთმა შემთხვევამ ძრიელ მომიმართა ხელი: სასტუმროში შეეხვდით რამდენსამე რუსს, რომელთაც მიგეასწავლეს საით და ან ვისთვის უნდა მიგეემართა. პი რა შევიტყე: Oიურიხის უნივერსიტეტში შეიძლება შესელა ეგზემენიის დაუქრლად და shy fungstadstype da fandss boto. ha. Vomal co for al osgl gargag. 5 ng 8 n of ohn show, hongramy bbgs yonggh. სიტეტებში, — ეგზამენს აჭერინებენ სტუდენტსა მხოლოთ ერთხელ, კურსის დასრულების დროს. უნივერსიტეტში შესვლის მსურველს მოეთხოვება კ რგათ ცოდნა ალგებრისა, გე ომეტრიისა, ტრილონომეტრიისა და ამათ გარ രാ ფიზიკა, ხიმია და ზოოლოგიაც ისე კარგათ უნდა იცოდნენ იმათა, როგორც გიმნა. ზიის კურსს შეეფერება. ბონებითი გახსნით **ც**იურიხის უნიკერსიტეტში შემსელელი სტუ. დენტები სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს არ ჩამორჩებიან უკან. ბქ იმისთანა სტუდენტებიც არიან, რომელთაც სხვა უნივერსიტეტში აქვსთ კურსი შესრულებული; სხვათ. შორის ერთი რუსია კანდიდატი ფიზიკო-მატემათიკური ფ იკულტეტისა, რომელიც ცხლ მედიცინასა სწავლობს. ძურსები დაყოფილია 10 სემესტრებად (ნახვეარ წელიწადებად); მა. შასადამე უნივერსიტეტში ხუთი წელიწადი

რი იწყება ოკტომბერში და თაედება აპრილ-ტომდე, აგვისტოს და სეკდემბერში სწავლა არის. მოსწავლეთ რიცხვი საკმაოდ ბევრია; ാമാത നെവ്രമുത്ത ക്നൂന്റെന്നൂർന വാന്നാര് മന്ത്രംრებული ქვეყნებიდგან არიან მოსულნი; თითქმის ყველა ქვენებიდგან ნახავთ თითო-ოროლა სტუდენტს. ამჟამად აქ სულ 60 რუსის სტუდენტია, თუ ამ რიცხვში ჩათვლით პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მსმენელებსაც. ბმათვანი ცხრა სტუდენტი-ქალია: ოთხნი ოდესიდგან არიან, ერთი შინლანდიიდგან და დანარჩენი, ეგონებ, მოსკოვიდგან და პეტერბულიდგან. შემდეგისათვის უფრო ბევრნი იქნებიან, ღვთის მადლით. ჩვენ რუ_ სის სტუდენტ-ქალებს გარდა, აქ იმყოფებიან კიდე--ორი ანგლივლი სტუნდენტი-ქალი, ერთი ამერიკელი, ერთი შოტლანდიელი და ერთიც შვეიცარიელი. სულ ერთიანად თოთხმეტი სტუდენტი-ქალია ციურიხის უნივერსიტეტში. შეელანი მედიცინასა (ექიმობასა) სწავლობენ, გარდა ანგლიელისა. რომელიც ത്രാന്ത്രായില് പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യ പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യ പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യാത്ര പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ്രത്ര പ്രത്യ പ്രത്ര പ് ნი ზოგიერთი მათგანი და მათი ყოფა-ცხოვრება, და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა, how so goods, oly and grats, olygon bolosმოენო შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზედ, რომ მომეტებული ბედნიერების ნატერა ჩემი Jamalongal amath agademgos. By stor abonლოდ მოხარული ვარ, არამედ, ეგონებ, ვამპარტავნობ კიდეც ამითი. ბუშინ, მაგალითად, მე გავიცანი პეტერბურღელი სტუდენტი-ქალი მ. ბ., რომელიც მედიცინის ფოკულტეტზეა და ამ მოკლე ხანში ასრულებს კურსსა. ეს, სწორედ მოგახსენოთ, ძრიელ მოსაწონი ვინმეა, და გულმხურეალეთაც ეკიდება თავის საქმეს. ბანა მარტო ესა? სხვა ყველანიც ისე ბეჯითათ და გულსმოდგინეთ სწავლობენ, რომ გასაკვირველი არის. სტუდენტები თითქმის მთელი დღე სწავლაში არიან: ლექციების კითხვას პროფესორები იწყებენ ახლა დილის რეა საათზედ, გაზაფხულს და ზაფხულ კი ხან ექესს, ხან შვიდ საათზე იწყებენ ხოლმე და ჰკითხულობენ ვიდრე 12 საათამდე; შემდეგ ნასადილევის ორი საათიდგან-ვიდრე ხუთს ანუ ექვს საათამდე. ლექციების სმენა და გამეორება, ავათმყოფების დახედვა, ანატომიური თეატრი და კლინიკა-ყველა ესენი იმოდენა დროს თხოულობს, რომ მედიცინის სტუდენტებს სრულებით არა აქესთ მოცლა. ბმი გამო ერთი ქვეყნის სტუდენტები ხშირათ აქ ერთმანერთს ეერა ხედავენ და ვერც იცნობენ ხოლმე. ბუდიტორიაში **) ქალებს ძალიან კარგათ უჭირავთ თავი, როგორც სხვა სტუდენტებთან, ისე პროფესსორებთანაც; ისინი სცდილობენ, რომ გარჩეული არ იყვნენ ხხვა სტუდენტებთან და მართლათაც იმათზე განსაკუთრებითი მომატებული ყურადღება არა არის მიქცეული. პროფესორები, რომლებზედაც ამბობენ, რომ გულს მოდგინეთ ეკიდებიან თავიანთ საქმესაო, ექცევიან სტუდენტ-ქალებს თითქმის სრულებით ისე თანაგრძნობით, თავაზიანათ და ყურადოებით, როგორც ვაჟებსა. მაგრამ ეგზამენების დროს კი, თუ უკმაყოფილონი დარჩნენ იმათ მიგებაზედ, ამ უკმაყოფილებას პირში გამოუცხადებენ ხოლმე, როგორც ეაჟებს, აგრეთვე ქალებსაც. მსეც უნდა მოგახსენოთ, რომ თვით უნივერსიტეტში და აგ-

^{**)} ეს წერილი დაბექდილია ჟურნალი "Учитель"—
ის ამ წლის პირცელს ნომერში და ეკუთვნის, როგორც თვითონ მკითხველი დაინახავს, ერთს რუსის დედა-კაცს, რომელიც მისულა Оიურიხში (შვვიცარიაშია)
თავის ქალის შესაყვანათ იქაურს უნივერსიტეტში. ბმ
წიგნში მოყვანილი ცნობები Оიურიხის უნივერსიტვტისა და ცხოვრების შესახებ, ვგონებთ, უინტერესო
და უსარგებლო არ იქნებიან ჩვენი მკითხველებისათვის.

^{*)} ის გარემოება, რომ თითქმის უველა ქალები სწავლობენ მედიცინას, ე. ი. იმისთანა საგანს, რომელიც შემდეგში მისცემს იმათ საცხოვრებელ სახსარს,— ცხალათ ამტკიცებს, რომ ქალებსა სურსთ დამოუკიდელებელი ცხოვრება. ჯერ-ჯერობით ქალებს აქვთ მხო-ლოთ ექიმობის უფლება და ამიტომაც ისინი მედიცინის სწავლას ეშურებიან. რედ.

^{*)} **M**თახი, საცა პროფესორი ლექციას ჰკითხულობს და სტუდენტები — ის მ ე 5 ე 5.

რეთვე ქალაქშიაც ამ სტუდენტ-ქალებს უყურებენ ისე, როგორც უცხოსა და გარეულს სულდგმულებს; მაგრამ ყველგან კი ძრიელ പ്രാന്മാത പ്രോര് മിന്റ്രൂർത്വന്റെ ഗാർന്മുത്തുർ പ്ര და მეტს არც ისინი თხოულობენ არაფერს.

საზოგადოთ სიურიხის უნივერსიტეტში აქამომდე სიხარულით იღებენ ქალებს და შემდეგ შიაც არა მგონია გამოჩნდეს იმისთანა მიზეზი, რომელსაც შეეძლოს ამ წესდების മാർന്ധ്യാത്രാം

Uიურიხის გარდა პარიჟის უნივერსიტეტში სწავლობს სამი სტუდენტი-ქალი; ერთი ამერიკელი და ორი ჩვენი რუსთაგანი, და სამიც ჰეიდელბერღში. სულ ერთიანად ო ცი სტუდენტი-ქალია ევროპისუნივერსიტეტებში. მს რიცხვი, ძრიელ ცოტაა.... მაგრამ ამაზედაც მადლობა უნდა უთხრათ ამ უნივერსიტეტებსა; ამათაც შეეძლოთ ხომ გამოეკეტნათ ქალებისთვის კარები, როგორცა შერებიან ამას ზოგიერთი მზრუნველნი და გამნათლებელნი კაცობრიობის გონებისა! მართლა აქ ისმის ხმა, ვითომც პენიგსბერლის უნივერსიტეტშიაც მალე დაიწყებენ ქალების მიღებასაო. რალასაც ამბობენ ამას გარდა პეტერბუროზედაც.... ღმერთმა ქნას, რომ ეს ხმები გამართლდენ.

ბარდმოგცემთ რამდენსამე ცნობას სიუhobol (straghgdsbgo. Osgal agesbgs of dhaელ ძვირათ არა ლირს: ჩემი ქალი დავაყენე პენსიონში *), სადაც იმას აქვს საკუთარი და, თუმცა პატარა, მაგრამ სუფთა ოთახი. პამა-სმაში-ჩაი — შაქარში, ლოგინში და მუახლეში სულ ერთიანად თვეში 55 ფრანკს ვაძლევ სახლის პატრონს. (მრთი ფრანკი თითქმის ექვს შაურს შეადგენს). უნივერსიტეტში სწავლისთვის აძლევენ 400 ფრანკსა; სულ წელიწადში 1060 ფრანკი გადის და ამას 400 ფრანკიც რომ დაუმატოთ, რომელიც სხვა და სხვა წერილმანებში იხარჯება, სულ შესდგება ორმოცი თუმანი, ან კიდე ბევრი ორმოცდა ათი თუმანი დაიხარჯება, საშუალო რიცხვით, რომ ვსთქვათ.

მე დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ რაც შეეხება ჩემი ქალის სადგომის აღმორჩევას, ამ მხრითაც ბედნიერი გავხედი: თვით იმ სახლებში სცხოვრობენ სამნი დანი, მოსკოველი ღენერალი 3-ს ქალები. უფროსი ქმრიანია და ოჯახობის მოვლაშია გართუ-ത്രം; എ്യന്നധര ന്നെ രാ മിക്രാന ക്യന്ത്യാ രാ മനნიერი ქალები არიან; მომავალ სეპესტრიდგან ისინი აპირებენ უნივერსიტეტში შესვლასა. ჩემი ქალისთვის ძრიელ კარგია ამათი მეზობლობა ამისთვის, რომ ნემენცურ ენაში გაიმართება. ბქ ძრიელ საჭიროა ნემენცური ენა, რომელიც ამ 3-ის ქალებმა მშვენივრად იციან.

საზოგადოდ სიურიხში ცხოვრება, ჩემის somon, she show golistomo cos show ony 30000 დასაწუნი. საკვირველია აქაური ხალხის სისუფთავის და ფაქიზობის მოყვარულობა. თითქმის ქუჩებსაც კი რეცხავენ! ბუშინ, მარ-താത്രാം, ാന മാത്രന്വ്യൂര്യാത, തന്ന്യത്തരി മാദ്നം, თორემ სხვა დროს კი ყოველთვის რეცხენო; გუშინწინ, მე თვითონ ენახე, როგორა რეცხდენ: ჯერეთ გარეცხეს, მერე გაწმინდეს და შემდეგ ხელმეორეთ ისევ გადაავლეს წყალი.

*) სამზღვარს გარეთ, განსაკუთრებით შვეიცარიაში, სადაც ბევრი წამსვლელ-მომსვლელია, მარტო-ხელხ კაცს შეუძლია თვეობით გაურიგდეს სახლის პატრონს, რომელიც 20-40-50 მანეთათ გამართულ ოთახსაც მიუჩენს, მოსამსახურესაც, საქმელ-სასმელსაც აძლევს, ქვეშაგებსაც და სხვა ყველაფერს, რაც კი დასჭირდება. ხშირათ მოხუცებული ქალები დაიჭერენ 6-10-15 mouble as anoman anom distination, მდგმური ჰყავსთ. ბმას ჰქვიან პანსიონი.

"მე ძრიელ მოხარული ვიქნები, თუ თქვენ ამ ჩემს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებში ჰპოებთ რასმე სარგებლობას სწავლის მოსურნეთა-

8. 8.

JM 6637 760306600000 (Saghagoda)

1863 წელს დაფუძნდა ბმერიკაში პორნჰელისაგან შეწირული ფულებით და პროფესორი უაიტის მეცადინეობით ახალი უნივერსიტეტი, რომელსაც დაარქვეს სახელაღ "ძორნელის უნივერსიტეტი" და რომელიც სულ სხვა ნაირათ არის გამართული. პორნჰელი იყო უბრალო მუშა-კაკი, რომელმანც თავის შრომით და ქკუით აუარებელი სიმდიდრე შეიძინა; მაგრამ ამ სიმდიდრეს ის ზოგიერთებსავით მარტო თავის თავს არ ახმარებდა. თვითონ თავის თავზე გამოსცადა იმან სწავლისა და ხელოსნობის საჭიროება და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ გაევრცელებინა ბმერიკაში ეს კაცის ცხოერების გამაუმჯობესებელი სახსრები: სწაელა და ხელოსნობის ცოდნა. პორნელის უნივერსიტეტის გასახსნელათ იმან ნახევარ მილიონზე მეტი შესწირა და ამიტომაც იმის სახელი დაარქვეს. შმთავრესი ყურადღება, ამ უნივერსიტეტისთვის პროგრამის შედგენის დროს უაიტმა მიაქცია ისეთ საგნებს, რომელნიც პირ და პირ გამოსადეგნი არიან ყოველი კაცისთვის თვით ცხოვრებაში. "შე დავრწმუნდიო, სწერს უაიტი, რომ ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებს აქვსთ ერთი დიდი ნაკლულევანება. **პ**რც ერთ უმაღლეს სასწავლებლებში—არ აქვთ მიქცეული ყურადღება ისეთს ცოდნებს, რომელთაც აქვთ პირდაპირი გავლენა კაცის კეთილდღეობაზე, მაგ. მეურნეობა და ხელოსნობა." ბმის გამო ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ამ საგნებს მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება. სხვათა შორის იქ საფუძვლიანათ ასწავლიან: მეურნეობას, სხვა და სხვა ხელოსნობას, ინჟენერობას, მედიცინას, ეაჭრობას, პედაგოგიკას, სამშობლო ისტორიასა და სხ. ენივერსიტეტის პროექტის შედგენის დროს მიიღეს მხედველობაში ორი გარემოება: ერთი ის, რომ უმეტეს ნაწილათ ამისთანა ცოდნის მილებას ეტანებიან ლარიბები და ამიტომ სწავლის ფასი სხვა უნივერსიტეტებზე ნაკლებია დანიშნული (30 დოლარი, თითქმის 40 მანეთს შეადგენს); მეორე, არც სტუდენტებისა და პროფესორების სარწმუნოებას არა აქვს, ახალი პროექტით, არა ვითარი მნიშვნელობა; რა სჯულის და რა სარწმუნოების გინდა იყავიო, ოღონდ ისწავლე და კაცი გამოხვედიო. ბმას გარდა პორნჰელის უნივერსიტეტში კიდევ ერთი გარემოება უადვილებს ყოველ ღარიბსადა შეუძლებელ სტუდენტს სწავლის მიღებასა: თვით უნივერსიტეტის გარშემო არის დიდი მინდორი, საცა მსურველს

შეუძლია იმუშავოს და თავის ხელებით დაირჩინოს თავი და კიდეც ისწავლოს; ამ მინდორში გამართულია მშვენიერი ბაღები, ბოსტნები და ყანები; უნიეერსიტეტს ჰყავს აგრეთვე სხვა და სხვა საქონელი და სტუდენტს შეუძლია იმის მოვლა და მოშენება ისწავლოს. ბქვე არის გამართული ბევრ გვარი ქარხნები, საცა ასწავლიან მჭედლობას, მხატmadol, bymandol co bb. Jo molo light ogoთონ Jორნჰელი ამაებზე ნიუ-nორკის გაზეთში "Tribune": "არავინ არ არის ვალდებული ამ მინდორში და ქარხნებში იმუშაგოს; მაგრამ, ვისაც სურს და ვისაც თავის თავი უნდა დაირჩინოს, ყოველთვის შეუძლია იშოვნოს აქ სამუშაო. სხეულის ვარჯიშობა უმაგრებს კაცს ფიზიკურ ძალას და ჯანმთელობას აძლევს. შიზიკური შრომა მეორე მხრითაც ძლიერ სასარგებლოა მოსწაგლე უმაწვილისათვის: ტვინის მუშაობის შემდეგ ფიზიკური შრომა შეასვენებს კაცს და სიამოვნებასაც აძლევს."

6 6 0 0 cm 0.

დიდიხანია მე ჩემს ქვეშსაგებს რაც შევეჩვიე, აღარ ვშორდები; ბრ შეუძლიანთ შველა ექიმებს, **თ**ვითონვე ვატყობ, მეტათ ვსუსტდები. სიკვდილი მოდის, მიახლოვდება, შნდა რომ მოსპოს ჩემი სახელი; მაგრამ, ეს მიკვირს, მთლათ რათ არ ქრება ბმ დაღლილ სულში გრძნობა ცხოველი. **თ**ვეში თუ ერთხელ გამოვალ გარეთ, პოხს დავიბიჯებ და დავეთრევი; ბულ-დაწყვეტილი ათასჯერ მწარეთ, მე ხალხის გროვებს არ გავერევი. მივიპარები ღამით ყრუ ველში, **თ**ვალს არ ვადევნებ მნათობთ კრებასა; მცირე რვეული მიჭირავს ხელში, ბნელში დავეძებ განსვენებასა. სადაა ნატვრა, ლამე ნათლდება! Оას გარდაედო ლაჟვარდის ფერი. ბომოსაელეთით ბებერი ჩნდება,

დაუთინარი კარსკვლავთა მტერი. 0ქ—აქ ღრუბელნი დაობლებულნი დაფრთხალნი მისგან იმალებიან, ეტლები ეხლა შუქ მოკლებულნი

ემაწვილ ქალივით ნაზათ ჰკრთებიან. შუაგულ ცაზედ სწორეთ რძის ფერი 3არსკელავთა შარა დაბნელდა უცბად; მარსი მოსისხლე, მშვიდობის მტერი, ბაჯავრებული სხივებს ჰყრის უხვად.

ნიავი გრილი ბუნებას მძინარს სასიამოვნო სიზმრებს აჩვენებს, როგორც რომ dads თვის გაზრდილს მტირალს ეალერსება, ლამეს ათენებს.

ზღვა სდგას ზეთივით, გემებს არ ანძრევს, რეიხებია მოსვენებული; სიჩუმეს მხოლოდ ქრიქინა არღვევს, ეგ შემოდეგის ვითომ ბულბული.

Co igmos anot about agrees of მალის ხმა ნაზი ზედ დაჰკატინებს Cs 38 hadenshow of the back of Brown Ongal ტურფა მხარეს ჩვენ მხარს ადარებ

ამაებს ვხედავ, ესენი მესმის, რაც ბევრისათვის სანატრელია, **თ**ვალი არ სტკბება, გული არ სძგერის: სურვილი ჩვენი ასე ჭრელია.

მე სულ სხვა მინდა სანახავები: მრავალი ხალხი ერთად ხარობდეს,

os codes to men importation

agamammasts, damast gmomast

შიშრათ მაღლათ გააცხადებდნენ **დ**ა სიყვარულსა, ამ წმინდა გრძნობას,

მოუფიქრებლათ არ აძაგებდნენ!

აგვისტო, 1866 წ.

6633 Q3 6633 33833n.

3 3 8 9 0000

1860 წელს ერთმა ლიფლანდიელმა — პინბიუტ მა შესწირა ანდერძით დერპტის უნივერსიტეტს " ცამეტი ათასი მანეთი იმ პირობიი 1870 წლამდი ეს თანხა და სარგებელი ხელ ბელი უნდა დარჩენილიყო. ბი, რა დანიშნულებ ცა შემწირველმა შეწირულს ფულებს: თვითო 33,000 მან. ხელუხლებელი უნდა დარჩეს სამუ ხუთი ნაწილი სარგებლიდან თვითონ თანხის ტებლათ დარჩება ბანკში; ხუთი ნაწილით უნ ცენ შემწეობა დერპტის პროფესსორების ქვრიგე ობლებსა; ოცდა ათი ნაწილი სარგებლისა და ლია საჩუქრათ იმ პროფესორებისთვის, რომელნ სანიშნავს რასმე დასწერენ ნემეცურს, რუსულს, თინურს ენაზედ; სამოცი ნაწილი მიეცემა სტუდ რომელნიც მეცნიერებაში გასაწვრთნელათ მოინდ სამზღვარ გარეთ წასვლას და მოგზაურობას.

"ხარკოვის უწყებაებში" სწერენ, რომ იქაურს ქის სასამართლოში რამდონიმე ქალი მსახურობს ლათაო. თუმც იმათ სამსახური სამსახურათ არე ბათ, მაგრამ თითო იმათგანი ოცდა ხუთ მანეთს იღებს თურმე თვეში და ქალებისათვის, რომელი უჭირსთ სამუშავოს შოვნა, უეჭველია, ეს სამ დიდს რასმე შეადგენს.

ᲒᲘᲒᲚᲘ**Ო**ᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲒᲐ.

ისყიდება თფილისში მნფიანჯიანცის

LSJSAOBBERL NLO ANS,

თეიმურაზ ბატონიშვილისა დაბეჭდილი პეტერბურღს, 1848 წ. $18\frac{1}{2}$ dobn, 8%

შასი ერთი მანეთი.

00 0 0 8 6 0 9 0.

Mც სიტყვიანი დეპეშის გაგზავნა **0**1 ფი-856. 333. ლისიდგან ლირს: გუმბრს, განჯას, ბაქოს -Stampantyl, Bangandl, Byosall პოჯორს, ბორს, დუშეთს, მოსკოვს, ბსტრახანს, ნახიჩევანს, 3ლადიკავკაზს, ნუხას, ნიჟნს, Moglibsh, Ambongh, -Brook, Mosabb - ს.-პეტერბურლს 50 სურამს, სიღნახს, --O 2 2 2 5 6 m m m b ტემირ-ხან-შურას, მრეგანს, შემახას ბნგლიაში (შველა მალაქებში) არანციაში — — იტალიაში და რომში — **M**სმალეთში (სტამბოლს)

3 M 6 0 J.

On grant an amont: შაფათს გარდა.

მუ თაისიდან — ხუთშაფათს, შაფათს და ორშაფათა 50 ერევნი დან— ხუთშაბათს, შაბათს და სამშაბათს და პარასკევს.

ნაშუადღევის 3 საათზე.

ნუხიდან—სამშაბათს დღისით 1 საათზე. ბაქოს გუბერნიიდან — ორშაბათს ნაშუადღევის 4 სა-

3 უ თაისში მოდის: 00 ფილისიდან რუსეთის ფოჩტასთან ერთათ - ხუთშაბათობით, შაბათობით და ორშაბათობით შუაშოთიდან — სამშაბათობით და შაბათობით სალა- 6 საათზე.

რუსეთიდგან — ყოველ დღე სალამოობით, ოთხ-რუსეთის ყველა ქალაქებში და სამძღვარ ho on a co games bashboonles co acomo Donnles - month ბათს, ხუთშაბათს, შაბათს და კვირას. Jy osob Jo, Samb go babyob - jgohob, mobod

0) ფილისიდან მიდის შუადღეზე:

Stom gaby b, Maynhagonb, Bygonob, Banhy

— პარასკეობით. ერევანს — პარასკ., ოთხშ. და ხუთშაბათს

ბაქოს გუბერნიაში-სამშაბათს და შაბათს.

3 უ თ ა ი ს ი დ ა ნ მ ი დ ი ს: შოთ ს, სოხუმს და ორპირს—ორშაბათს და შაბათს სალამოს 6 საათზე. M & y h & g on b cos Byzonob- mh dodonb bog

0 ფილისში და რუსვთის ყველა ქალაქ -- ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას შუადღეზე. Stom Ont glo go amigen 86 - 3 shot samono.

მოს 10 საათზე.